

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბუთებელი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უწყვეტის გარდა, დღის 9—3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენტების სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: თბილისი, რედაქცია „საქართველო“, პოჩ. ყიჩიქ № 76

საქართველო საპროლეტიკო, საპროლეტიკო და საპროლეტიკო გაზეთი

წელიწადი საქართველო წელიწადი გეორგი.

უპროლეტიკო ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთი წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვეურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროლეტიკო: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამოავიცივე სრულად შემოიტანს.

სამგლოვანო განცხადება ჩვეულებრივს წამოიხა ღირს 3 მან. ნაშუადღევს 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დღით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე. ფოსტის მიხედვით: თბილისი, მოსკოვსკაია ულ. № 4, დომუ გაბაევა-Почтовый ящик № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდო შანშიაშვილი.

## მოდური მაღაზია

### მ. გაშარული

სასახლის ქუჩაზე

იზოგება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

#### მსოფლო ევროპული

(—83—)

2 მაისს, დღის 4 საათზე განისვენა გეორგისა

### იკოლონ ევლოვი

რასაც გულისკენით აუწყებს ქართველ საზოგადოებას

„საქართველო“-ს რედაქცია

პანაშვილები ყოველ დღე საღ. 7 ს. ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

2 მაისს, დღის 4 ს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### იკოლონ ისაიის ძე ხოსიტაშვილი-ევლოვი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულს გულმოკლული მეთუღე მანანა შვილებითურთ. პანაშვილები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

მწუხარებით გულდამწვარი ბაბილია ისაიის ასული და ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 2 მაისს, დღის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი მშა მგორისა მახლი

### იკოლონ ისაიის ძე ევლოვი-ხოსიტაშვილი

პანაშვილები ყოველ დღე საღ. 7 ს. ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

გულმოკლული პოლონელი ილარიონ ისაიის ძე ხოსიტაშვილი და მისი მეთუღე ნინო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 2 მაისს, დღის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი მშა მგორისა მახლი

### იკოლონ ისაიის ძე ხოსიტაშვილი

პანაშვილები ყოველ დღე საღ. 7 ს. ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

2 მაისს, დღის 4 საათზე გარდაიცვალა

### იკოლონ ისაიის ძე ხოსიტაშვილი-ევლოვი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულს მშა თომა ისაიის ძე, რძალი ოლა და ვითის ასული შვილებითურთ.

2 მაისს, დღის 4 საათზე გარდაიცვალა

### იკოლონ ისაიის ძე ხოსიტაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულს სიდედრი ევა ჯანყარაშვილისა, ცოლის მშა მიხეილ ივანეს ძე ჯანყარაშვილი ცოლშვილით.

### სახალხო სახლი

ოთხშაბათს 4 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდ. იქნება სოპროლი-კოვ-სამარის მიერ სენეკის რომ. ვადმ. ცნობილი პიესა

## ვიღრე სვალ!

დრამა 5 მოქ. თარგ. ა. წერეთლისა

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტალო, დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., ქიქოძე ანტონ, ჯავახიშვილი ნ., გუნივა ვალ., გომელაური ზაქ., იმედაშვილი ალ., ივანიძე ი., გელდენბოგი, გ. ვარგაძე, ვ. გვარამია, კორნელიძე პ., თარალაშვილი ი., მამფორია ი., სარალიძე ს., ხონელი შ., ჩაგუნავა კ., და სხ.

წარმოდგენის დასაწყისი ხალ. 8 ს. — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადგილების ფასი 15 კ. და 1 მ. 50 კ.-მდე. (2-90-2)

ქ. გაქოვი

### ღვინით ვაჭრობა „მელანდი“

თ. ი. ჯ. ანდრონიკაშვილი და ანჯ.

იზოგება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

### უეზის საყოგი

#### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღვინოების შემა

უპროლეტიკო ხელმისაწვდომი ფასით

### საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზადებული ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც (103—წ.) ტელეფონი 5—96.

### საუკეთესო კახური ღვინის საყოგი

#### ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი ხახლი. (102—წ.)

### საგლანსპირო მაღაზია

#### ერ. ივ. ჭავჭავაძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანათევის ქარვასლაში.

იზოგება უპროლეტიკო საგლანსპირო საუკეთესო საქონელი: ჩუღჭუღობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი (101—წ.)

### ომის აგებები

იხვეს, გზაში სტოვებენ ურმებს და სხვა საგნებს. რუსების ცხენოსნები ფხვნილებს მისდევენ.

**უპროლეტიკო მთავარსარდალის შობა.**

პეტროგრადი. 2 მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. დენ. ევერტის ჯარის ბრძოლის ასპარეზს მტერმა ზარბაზნები დაუშინა სხვა და სხვა ადგილს და მკაცრი ცეცხლი გააჩინა.

**კავკასიის ასპარეზი.** მამახათუნის მიმართულებით რუსის მხედრები ჯარი ამოქმედდა. დიარბეჭირის მიმართულებით ქურთების იერიშები მოიგერიებენ. მოსკოვისკენ რუსის ჯარი შეიქცა ქელაქ რევიანდში და სამხედრო საწყობი ივლო ხელთ. მტერი სისწრაფით უკან

**ლონდონი.** 2 მაისი. ოფიციალი ცნობა. ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ სხვა და სხვა სახის ზარბაზნებიდან მტერმა გუშინ პლესტრის ცის ტყესთან სამი ჯგუფით იერიში მოიტანა, ერთი ჯგუფი ჩვენ თხრილებში შეიჭრა და დაიჭრა, მაგრამ კონტრიერიშით მტერი განვადგინეთ, მათ 10 მოკლული კაცი დასტოვეს. დარჩენილი ორი ჯგუფი დღით ინგლისის ჯარმა განდევნა.

ლა-ბასეს სრუტესთან ინგლისელებმა

**აქიმი ა. გ. ვაჟსვასი**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერაულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიოლის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანკოვის ძეგლის პირ-დაპირ, რაზნელის ქუჩა, № 19.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირ-დაპირ გაიხსნა**

### ახალი აფთიაქი

პროლეტიკო ასაღმართისა

**დ. ზახარაძე**

### ქ. მ. მახარაძე

2 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**დოქტორი მადონისა**

მოსკოვსკის ქუჩა

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ზავსთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოფისის ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-ზარბაზნისა. ტელეფონი, 17—21.

**მტრის თხრილები დაიჭირეს.** მტრის მორტირი უშენს მარტორის, სოლის, სუშეს, კამარენის და სენტ-ელუსის მიდამოებს. საარტილერიო ბრძოლა სხვა ადგილებშიც სწარმოებულა.

**პარიზი.** 1 მაისი. დღის ცნობა. რი-მის სამხრეთით, მტერმა ლივის ტყესთან ჩვენს თხრილებზე იერიში მოიტანა. ვერდენის მიდამოებში მთელი დღე საარტილერიო ბრძოლა იყო მოტრპობიან. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარა.

**პარიზი.** 1 მაისი. საღამოს ცნობა. არგონში ფილორტთან ორი ნაღმი ავადმყოფი. აფეთქებულია გერმანული თხრილები. ვერდენის მიდამოებში მხოლოდ არტილერია მოქმედებდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარა.

**პარიზი.** 1 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. სომის სამხრეთით, გერმანული იერიშის ახლოს მოულოდნელად თავს დავესხით მტერს და პირველი ხაზის თხრილებიდან განვდევნეთ. შამპანში მგონ-დე-შამპანის და მენილის გორაკთან ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. ამ ადგილებში დავატყვევეთ 15 კაცი. ვერდენის მიდამოებში, ავოკურის ტყის და „304“ სიმაღლის უბანში საარტილერიო ბრძოლა.

**ლონდონი.** 1 მაისი. ინგლისის ცნობა: გუშინ დღე ყუმბარის სროლის შემდეგ, სომის და მარტორის შუა თხრილებში, მტერმა სამჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ მოგერიებულ იქნა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა. ვაქცილული ბული ბრძოლა სწარმოებენ ებოტერენის, სუშეს, კარანასის თხრილებთან და სენტ-ელუსის მიდამოებში. მტერი მოქირ-ვეიტხანთან ნაღმებით მოქმედებდა.

**პარიზი.** 1 მაისი, ბელგეთის ცნობა: კოტა ხნის სიმშვიდის შემდეგ საარტილერიო ბრძოლა განახლდა დიქს-მიუდეს მიდამოებში ქალაქის ჩრდილოეთით. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიმშვიდე.

**ბულონი.** 1 მაისი. ფრანგთა დირიგებელი სარდინისთან ზღვაში ჩავარდა. მასთან ერთად 6 კაცი დაიღუპა.

**ღვინის ასპარეზი.**

მთელს ღვინის ასპარეზზე წყრილი შეტაკებები ხდება. ხოლო ოლუქსტის და იაკობშტატის მიდამოებში გერმანელებმა გააჩაღეს ქარაშალონი საარტილერიო ცეცხლი. გერმანელები სვენის ტბის არე-მარსაც დიდ ურადლებას აქცევენ და ზარბაზნებს უშენენ.

**მოლოდენი.**

მორპონის და ლდის დასავლეთით, მოლოდენიდან 30 კერის მანძილზე გერმანელები საარტილერიო ცეცხლს აჩენენ. ყოველ დღით ან საღამოთი, მოლოდენის თავს დასტრიალიბენ გერმანულთა პარტილერიები. მიუხედავად ბრძოლის ასპარეზის სიხალისისა, ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივია და გაკრობის საქმეც კარგად მიდის.

**ირლანდიის ამბოხება.**

ირლანდიის ამბოხების ცეცხლი სულ ჩანებდა, სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ტენანტმა თვითა პალატაში განცხადდა, რომ 16 ირლანდიელ მეამბოხეს სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი, 73—კატორღა და 1.700 სამუდამო გადასახლება. ასკიტიის ცნობით, ამბოხებაში მოკლულია 180 კაცი, დაჭრილია 614 და უკვალოდ დაიკარგა 9.

**ავსტრალიის ჯარი საფრანგეთში.**

ლონდონის სამხედრო სამინისტროს ცნობით, საფრანგეთში ავსტრალიის ჯარი მოვიდა. მათ ცალკე ასპარეზი აქვთ დათმობილი და მალე დაიწყებენ მოქმედებას. ჯარში ურევიან ინდოელი ცხენოსნები ახალ ზელანდის, შოტლანდიის და სამხრეთ-აფრიკელი მობალისენი.

**ჩინეთი.**

იაპონიიდან მიღებულს ცნობით, თომბა პროვინციაში თავის პრეზიდენტად აირჩია ცენგუნსიუკონი, ვიკე-პრეზიდენტად ტანკიო, პრემიერად-კილონიცხიო, ჩინილოვთ-სამხრეთისთვის მშვიდობიანობის პირობებს იმუშავებენ ლენერლები: ჯინსიუნი, ფინგოჯონი და ვიციუსი. შანდუნის ამ-




გმირული განმარტება

აფხაზთა მოთხოვნებიდან შესახებ.

სიმართლის აღსადგენად და ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ საქაროდ ვრაცხი მცირედი განმარტება აღნიშნოთ გაზეთის საშუალებით იმ ბრალდების შესახებ, რომელიც იმის ზოგიერთ ქართულ პრესის წარმომადგენლებსაგან აფხაზთა შესახებ საკუთარი აღმინისტრაციული მართვლობის მოპოების საქმის გამო. აფხაზებს რომ დიდი ხნის ცალკე თავისებური პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდა ამის ახსნა არც ერთ ევლადელ ქართველს არ ესაქიროება. ყოველი ერთი, რომელსაც თავის ვინაობის შენახვის სურვილი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია, სცდილობს რამენაირად ისეთი გამგებლობა მოაწყოს თავის შინაურ საქმეებში, რომ მის ეთნოგრაფიულ თვისებებს და ეროვნულ ხასიათს განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება აღმოუჩინოს. მართალია, ასეთ ზუნებრივ თავის დაცვის სურვილს პატარა ერებისაგან ბევრი საწინააღმდეგო გარემოება ელოდება იმ შემთხვევაში, თუ ის მოკლებულია პოლიტიკურ თავისუფალ ცხოვრებას, მაგრამ რაც უნდა მიიმე სენით დაავადებული იყოს ადამიანი, მაინც ვერ დაუშვით მას ედიოს განსაკურნებელი წამალი და საშუალება. სოხუმის ოლქი რუსეთთან შეერთების შემდეგ რამდენჯერმე იყო თავისუფალ აღმინისტრაციულ ერთეულად მცხოვრებთათვის ყოველი სასარგებლო საქმე სწორედ ამ ხანებში იყო სოხუმის ოლქში დაწყებული და შესრულებული. რაც სოხუმისათვის განსაკუთრებული მართვლობა მოისპო, მცხოვრებთა არც ერთი საქმე არ ყოფილა ჯეროვანად დაკმაყოფილებული, ამიტომ გასაკვირვებელი არ არის, რომ ჩვენ ვინდა ისეთი აღმინისტრაციული და თუ შესაძლებელია, საერობო მართვლობაც, რომელიც განსაკუთრებულად იზრუნებს სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ ჩვენი თითო-ერთი სემბლის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ჩვენ ყოველგვარ საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის. ჩვენი დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ისტორიულად და გარემოებით შეგავსებულ მიმდინარე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისუფლობა. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან. ჩვენ გვაკვირებს და გვწყინის, რომ ხშირად ჯეროვანი სიფრთხილით ვერ ეპყრობიან ჩვენი ეროვნულ თავმოყვარეობას ზოგიერთი ახალგაზრდა ქართველები. ჩვენი სურვილია შევინახოთ ჩვენი ენა და განსაკუთრებულად თავისებობა; ჩვენ ბუნებრივად მოთხოვნილებას ისენი უპაყოფილების გრძობით უყურებენ და ხშირად პრესაშიც უყურებენ იხსენიებენ. ეს გარემოება ძლიერ აწყვეტებს შენ წინააღმდეგობას; ნაშედეგო, ძმური გრძობა გვაძლავს ფართო საზოგადოებას ქართველობისას ვამცნოთ, რომ ანაირი სათუთი კითხვების მოთხოვნის დროს დიდი სიფრთხილია საჭირო. ჩვენ იმედი გვაგვაქვს, რომ დროთა ვითარება და ახალი ცხოვრების პირობები თავისთავად მოახდენს გავლენას ჩვენი ხალხის უმრავლესობაზე, ჯერ-ჯერობით კი საქართველო თან და თანობითი მშვიდობიანი კეთილ-განწყობილი გავლენა და კულტურული მუშაობა. ამ მხრივ ამ ახალ დროში, რუსეთთან შეერთების შემდეგ ძლიერ მცირედი შრომა მიღებული ეხლანდელი ქართველების მხრივ; ერთი ჩვენი ურთიერთობისათვის სასურველი წარმომადგენელია ჩვენ შორის ნიკო თავდგირიძე, რომელიც სიყვარულით და თანაგრძობით გვეყვარება, რომელსაც დიდი პატივი და ნდობა აქვს დამსახურებული მიუღ აფხაზეთში და დიდად ვესწავრებით, რომ ზოგიერთი ქართველი პრესის წარმომადგენლები ხშირად უყურებენ და უსამართლოდ იხსენიებენ მის ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის გაძლიერებისათვის სასარგებლო მოღვაწეობას. სასურველია ბევრი იყოს ჩვენ შორის ისეთი ქართველები, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებლობასაც ჯეროვანი პატივისცემით მოეპყრობა და ქართველ აფხაზთა დამოკიდებულება-დახლებების საქმეებზე-დაც გინდობრად იმეცადინებს.

თ-დი მელიტონ ემუხვარი. თ-დი პეტრე ანაბაძე.

ქოთათვიანი ეროვნული უსახე



მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (შუაში) მარცხნივ: თავ. ორლოვი ვ. ნ., ალიშვილი კ. ვ., დგანან ი. მ. ჩიქოვანი, ხოს ხანი, თავ. მ. ვ. მაჩაბელი, დ. ვ. მაჩაბელი, დ. ვ. პოტულოვი, ა. ი. ხატისოვი და სხ. კიბეზე—პ. გოთუა, გ. ლასხიშვილი, ს. მდივანი, თავ. ა. წერეთელი, თავ. ნ. თავდგირიძე, თავ. კ. აბაშიძე და სხ. მარჯვნივ: თავ. დ. ო. ნიკარაძე, ა. ს. ასათიანი, კ. ჯაფარიძე, თავ. ი. ვ. აფაქიძე. ცენტრში დგანან: თავ. კ. ნ. აფხაზი, თავ. დ. ე. ჩილოყაშვილი, თავ. სუმბათაშვილი, ს. ს. ვირსალაძე, ალი მარდან ბეგ თოხჩიბაშვილი, ვ. კრტილაძე და სხ. აივანზე ზევით: თავ. ალ. გ. შერვაშიძე, თავ. კ. დ. ერისთავი, ი. ზურაბიშვილი, გ. ყურული და სხ.

საქართველო

30 აპრილი

დღის 12 საათზე, თავ. კ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით, განახლდა 1 სექციის კრება.

განსახილველი იყო საგანი ერობის უფლებათა შესახებ. წაითხულ იქნა 1890 წლის დებულების მუხლები, 1, 2, 62, 63, 64, 87 და 108, რომლებიც დაწერილით ეხებიან ერობის ფუნქციებს. ამ მუხლების განხილვის დროს კრებას საჭირო განმარტებას აძლევდა დეპარტამენტის განყოფილების გამგე ბ-ნი ბლუმენფელდ. ბევრი საჭირო ცნობა მიაწვდა კრებას. სხვათა შორის ბ-ნი ბლუმენფელდ განაცხადა, რომ წაითხულ დებულების ადგილის რომელიმე მუხლის შესწორება ანუ შეცვლა ერობა გაართულებს საქმეს, რადგან შეცვლა ბუნებრივ დასამტკიცებლად ქალაქში უფალავი საფუძვრები უნდა გაიაროს.

კრებამ ერთხელ შეიწყარა აღნიშნული მუხლები უცვლელად. კრება გადაიდა 1 მაისისათვის.

სალამოს კრება

მე-2 სექციის კრება გაიხსნა, თავ. დ. ო. ნიკარაძის თავმჯდომარეობით, საღამოს 8 საათზე. კრება ისევ დაუბრუნდა საკითხს ცენზის შესახებ. სიტყვები წარმოთქმეს ბ-მა რცხილაძემ, ტერ-პეტროსიანმა, თემირგოვამ, კანდელიამ, ირეკიმ და ვერინაშვილმა. ერთი გჯუფი ამ ორატორებისა წინანდებურად ამტკიცებდა, რომ ერობაში მონაწილეობის უფლებას მიწადმფლობა უნდა აძლევდეს, ხოლო მეორე გჯუფი კი ისევ გაიძახოდა, უფლება გადასახადის რაოდენობამ უნდა მიანიჭოს.

თავმჯდომარემ საკითხი გამოკვეთულად აღიარა და კრებას წინადადება მისცა არსებობდა გადაწყვიტა საკითხი მიწადმფლობელობაზე დამყარდეს ერობაში მონაწილეობის უფლება, თუ გადასახადის რაოდენობაზე. კრებამ 56 ხმის უმრავლესობით წინადადება 16-სა დაადგინა, რომ ერობაში მონაწილეობის უფლებას იძლეოდეს ადგილ-მამული, ხოლო რაოდენობა მამულისა სხვა და სხვა გუბერნიის სხვა და სხვა იქნება და ეს რაოდენობა უნდა განისაზღვროს საგუბერნიო სექციებში. ამ გადაწყვეტილების მომხრენი (56 კაცი) იყვნენ ყველა ქართველი წარმომადგენლები, რუსები და მუსულმანები, ხოლო წინააღმდეგნი (16 კაცი) იყვნენ სომეხთა ბურჯუაზიის წარმომადგენელი.

2 მაისის კრება

1 სექცია. თავმჯდომარეობს თავ. კ. ნ. აფხაზი.

თოფრიაშვილი. ზაქათაის ოლქის შესახებ შემდგარ კომისიის სახელით მოგახსენებ კრებას, რომ კომისიაში გამოთქმულია ორი აზრი—ერთი, რომ ზაქათაის ოლქი შეადგენდეს საკუთარ საგუბერნიო ერობას, ოს სხვა მხარე ერობათ დაყოფილს, მეორე აზრი კი, რომ ის შეადგენდეს სამხ-

ლი უნდა წაეკითხოს საერთო კრებას.

უაზახიშვილი მოითხოვს რომ სოხუმის ოლქის შესახებ სექცია კატეგორიული გადაწყვეტილება არ გამოუტანია და ამიტომ საჭიროა სოხუმის ოლქის საკითხის განსახილველად კომისია იქნეს ამორჩეული.

თავმჯდომარე აცხადებს პირველი სექციის მუშაობას დამთავრებულად. სექციის ნაშუშევარს განიხილავს სამუშაოთა საერთო კრება.

კრება მადლობას ეუბნება თავმჯდომარეს კრების სასურველ და ნაყოფიერ ხელმძღვანელობისთვის.

II სექცია. კრება იხსნება საღამოს 8 საათზე თავმჯდომარეობს თავ. დ. შერვაშიძე და შემდეგ თავ. დ. ე. ჩილოყაშვილი. სექციამ წინანდელ კრებაზე მიღო საარჩევნო ცენზალ მიწის და დაეხმებოთ ცენზი, როგორც ეს არის დაწესებული 1890 წ. კანონში და გადაიდა საარჩევნო კურიების საკითხის განხილვაზე.

თავ. ი. ვ. აფაქიძე ჩვენ მივიღეთ უმთავრესი დებულებანი 1890 წ. კანონის. რუსეთის ერობაში კი დაწესებული კურიები, სახანაურო, საერო მიწის მფლობელები და საგლეხო შეადგენს სწორედ უმთავრეს საფუძველს და საძირკველს 1890 წ. კანონის, ცხადია რომ ჩვენ ეს კურიები უნდა მივიღოთ.

ფ. გოგირაიშვილი აცნობს კრებას მიწადმფლობელობის რიცხვს და მათ დანაწილებას თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა მარზებში.

კანდელია კ. კურიების დაარსების წინააღმდეგია. მის მოჰყავს ცნობები, რომ რუსეთის ერობაში, თუ სამხრეთ-ეთიუბელში, ახანაურობა უმრავლესობას შეადგენს, გუბერნიის ერობაში კიდევ უფრო მატულობს მოწინავე წოდების ძალით.

ტერ-მელიქიანი. კურიების წინააღმდეგია და მოითხოვს არა წოდებრივ ერობას.

თავ. კ. აბაშიძე. ეხება თბილისის გუბერნიისთვის დაწესებულს საარჩევნო ცენზს და ამბობს, რომ ასეთი პირობებში მომსწენებელს ანგარიშით მხოლოდ 13% მეპატრონეთა მიიღებს პირდაპირ მონაწილეობას არჩევნებში. ორატორის აზრით საჭიროა, რომ ყველას ჰქონდეს საარჩევნო ხმა, ვინც კი რაიმე საერობო გადასახადს იხდის. ორატორი კურიების წინააღმდეგია.

იუსუბეკო. ამტკიცებს, რომ კურიების დაწესება არ არის მიუტოვებელი საჭიროება.

ს. მდივანი. იმ აზრისაა, რომ ერობაში მონაწილეობის მიღება ყველას უნდა ჰქონდეს და კურიების დაწესება, როგორც ეს 1890 წ. კანონშია, უკანონო და ჩვენთვის მიუღებელი არის.

თავ. ნ. თავდგირიძე. ამტკიცებს, რომ ყველას, ვინც კი აქამომდე 1890 წ. კანონის საფუძველზე დებულებად უნდა სცოდნოდა, რომ ეს კანონი წოდებრივობაზე არის აშენებული და არა საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე. ჩვენ საყვედურის და დაწუნების არ უნდა გვემინოდეს, როდესაც ჩვენის რწმენით იმას მოვითხოვთ რის

შავი ზღვისპირის მაკამალინი

ამ სათაურით ინგლისური გაზეთის, „Manchester Guardian“-ის თანამშროლო ბ-ნი პრაისი კავკასიის უმაღლესი აღმინისტრაციის ოფიციალ გაზეთ „კავკაზში“ სწერს: ტრაპიზონის ვილაიეტის მამალინიები ეროვნებით და ენით ორ ბანაკად განიყოფიან. აღმოსავლეთით ჰოროსულან რიზამდე, შავი ზღვის ნაპირებიდან ლაზისტანის ქედამდე სცხოვრობენ ლაზები. ესენი ქართულად ლაპარაკობენ და 100.000 ან 150.000 მცხოვრებს შეადგენს.

დასავლეთით ტრაპიზონიდან მოსახლეობენ ოსმალები. ავეც ცხოვრობენ ბერძენები, რომლებიც ოსმალებში გაითქვიფნენ. ლაზებიდან ნაწილი გადავარდა, ნაწილი კი დაკავშირებულია ქართველებთან და მათ კულტურასთან, რომლებიც კავკასიაში მოსახლეობენ. კორცპოდენტი ხოპის მიდამოებში ერთ ახალგაზრდა ლაზს შეხვედრია, რომელსაც უთქვამს: ჩვენ ვიცით რომ კავკასიაში მოსახლეობს ხალხი, რომელიც მათი ენით ლაპარაკობენ, აქეთ თავიანთი კულტურა. ლაზისტანის რუსეთთან შეერთების შემდეგ ლაზები თავიანთ მომთმთ გავეცნობით და საშუალება მოგვეცემა სკოლებში სამშობლო ენა შევისწავლოთ.

ამ ადგილების მკვიდრი ძალიან ნაკლები პოლიტიკური შეგნება აქვთ, რაც შენდებიან მტკიცდება: ომის დასაწყისშივე ტრაპიზონში გერმანელთა აფიცრება შეიტმა და მოხუცდა მუშაობას ხელი მიჰყვეს, მათ უნდოდათ ლაზებისგან მოხალისეთა რაზმის შედგენა. ლაზები რომ ომში ჩაეთრიათ, ესენი მათ დაჰპირდნენ თავისუფალი საქართველოს აღდგენას. გერმანელთა უწყალო გამოდგა და მიზანს ვერ მიაღწიეს. ამის შემდეგ მათ უაჩილთ ციხის კარები გაუღეს და მათგან სამი რაზმი შეადგინეს. ამ რაზმებში ცარცვა-გლეჯა დაიწყეს, რის გამოც მალე ბრძოლის ველზე გაისტუმრეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულან.

შარშან თიბათევი ტრაპიზონში სომხების საშინელი ცარცვა-გლეჯა დაიწყო. ეს საქმე ახალგაზრდა ოსმალი კომიტეტმა მოახერხა, ადგილობრივი მცხოვრებნი ცარცვა-გლეჯაში მონაწილეობას არ იღებდა, პირიქით აქაური მამალინიები ბრტულად შეხვედნენ ოსმალთა მოქმედებას. ესეა ადგილობრივი მამალინიანი მდგომარეობა საშინელია.

ტრაპიზონის მიდამოებში ბრძოლის დროს მცხოვრებნი ძლიერ დაზარალებდნენ. ოსმალებმა უკან დახვიეს დროს მამალინიანი ნაწილი თან გაიყვეს, ზოგმა კი მთებს შეეფარა თავი. აქ დარჩენილი 50.000 კაცს შეადგენს. თავთავიანთ აიხრებულ ადგილებს უბრუნდებიან. მათი მდგომარეობა ქრისტიანებზე უარესია და შიმშილით იხოცებიან.

ქალაქის საბჭო

შ მაისი.

კრება გაიხსნა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათზე 25 წუთზე.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა თავადის ასულის ნ. ა. ბგვთაბგვავის ანდერძის შინაარსი. განსვენებულს დარჩენია სტავროპოლის გუბერნიის 1100 დესეტინა ადგილი, თბილისში მიხეილის ქუჩაზე 1100 ოთხ კუთხე საყენი ადგილი და 60.000 მანეთი ნაღდი ფული. ყველა ეს ქონება მას უნდოდებოდა თბილისის ქალაქის თვითმართვლობისათვის, რომელმაც 7 წლის განმავლობაში ეს ქონებას უნდა მოახმაროს საავადმყოფოს აგებას ვაჭო მცხოვრებთა სამიწობისათვის განუზრჩევად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ნაანდერძი ქონება უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. განსვენებულის ანდერძის ამსრულებლები არიან თავ. პ. ა. არლუთინსკი, თავ. პ. მ. არლუთინსკი, ლ. თ. ტიგრაიანი და ბ-ნი ქალაქთარი.

ქალაქის გამგეობას დაუდგენია ეთხოვნა საბჭოსათვის: 1) ფეხზე ადგილით პატივი სცეს განსვენებულის სლოვნას, 2) ვერცხლის გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო და 3) განსვენებულის გამოსვენება-დაკრძალვას დაეწეროს გამგეობა ქალაქის თვითმართვლობის სახელით.

ეს დადგენილება უკამათოდ შეწყინებულ იქნა. გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა კრებას მოახსენა სასურსათო საქმის მდგომარეობა თბილისში. ორატორი შეეხო მეორეების გაფიცვას ამ რამდენიმე დღის წინად დაეცა, რომ გაფიცვა მოახდინეს რამდენიმე მსხვილმა მეზობლებმა, რათა ხელეწიერად

